ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

13

გამოცემის 57-ე წელი, (№ 1575). ივლისი, 1980, ფასი 20 კაპ.

ძმებმა მოსკოვში დათუნას
გულთბილი მოუწყეს გაცილება!
თუმცა სხვა მხეცებმა ბევრი სცადეს
მისი თავიდან აცილება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუკიოტების ბოიკოტი

პამფლეტი

მარადი მოსკოვ-ქალაქი,
ლალისფერ შუქში დანთქმული,
დგას კრემლის წმინდა ალაგით
და მასპინძლობით განთქმული.

ერთობა, ბრძოლა სპორტული
და ძმური ოლიმპიადა! —
მოსკოვის ცაზე ანთია
ეს სხივნათელი ტრიადა!

სუფევდეს განწყობილება
ვარსკვლავური და მზიური,
რომ ყველას დასთამაშებდეს
ღიმილი ოლიმპიური!

ძირს უნდობლობის ყინული,
და მტრობის ჯებირ-კედლები!
დე, ღირსეულმა მოიმკოს
ოქროს და ვერცხლის მედლები!

დე, საჯილდაოდ შემოკრბნენ
ზანგებიც, ესკიმოსებიც,
რომ კბილებს აკრაჭუნებდნენ
ვაშინგტონელი „ბოსები“!

„მოსკოვს ბოიკოტს ვუცხადებთ!“ —
ისმის კარტერის ტირადა —
„თუ ვინმე წასვლას იფიქრებს,
ვფიცავ, დავუსვამ ძვირადა:

დავიჭერ, ჩავსვამ ციხეში,
დავადებ კონტრიბუციას!
კონსტიტუციას რას ვაქნევ? —
მთლად შევცვლი კონსტიტუციას“

ამ ბუკიოტის ბოიკოტს
ხმა მოსდევს არანაირი,
ბოლოს ძლივს გაეპასუხა
ი ს რ ა ე ლ ი და ზ ა ი რ ი.

ე გ ვ ი პ ტ ე მ ხველა ასტეხა,
ჰ ა ი ტ მ ა — წკმუტუნ-წრიალი,
მათაც უკუღმა გაიგეს
ამ სოფლის წაღმა ტრიალი!

აჰა, ბოიკოტს მხარს უჭერს
დღეს ა რ ა ბ ე თ ი ც ს ა უ დ ი ს —
სხვა რა ჰქნას? — ორი კინკილა
ვაი-სპორტსმენი დაუდის!

„მსოფლიო სპორტულ ფორუმზე
არც არასოდეს ყოფილა,
არც ახლა წავა!“ — ეს ცნობა
ვაშინგტონისკენ მიფრინავს!

და ამ დროს ვაშინგტონისკენ
სხვა ცნობაც მიჰქრის ფრთამალი,
ყურს უგდებს კბილთა ღრჭენითა
კ ა რ ტ ე რ ი, თვისი ამალით.

მოსკოვის ოლიმპიადას
ტაშს უკრავს დიდი ხანია
ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი და შ ვ ე ც ი ა,
ი ტ ა ლ ი ა და დ ა ნ ი ა!..

„ისმინეთ!“ — ერთხმად გუგუნებს
ე ვ რ ო პ ა ა თუ ა ზ ი ა, —
„მოსკოვის ოლიმპიადა
ჩვენი სპორტული ხაზია!

ავი მუქარა, სისინი
არასპორტული რანგია,
იგრძნობენ, თუ არ უგრძვნიათ
ვერაგი ბუმერანგია!

ჩვენ არ გვსურს ძმობის ზეიმი
და სიხარული მოვიკლოთ,
ბოიკოტს თავად ვუცხადებთ
ბუკიოტების ბოიკოტს!“

ბუმერანგი

ნახ. ჯ. ლოლუასი



ოლიმპიური კალეიდოსკოპი

კონან დოილის „დათვური სამსახური“

1908 წელს ლონდონის IV ოლიმპიადაში 56 მარათონელი მონაწილეობდა. მათ შორის იყო იტალიელი დორანდო პიეტრი, რომელიც თავიდანვე რბენის ლიდერთა ჯგუფში მოექცა. ორსაათნახევრის შემდეგ იგი „უაიტ-სიტის“ სტადიონზე შემოიჭრა და სულ რაღაც ერთი წრის შემდეგ ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლებოდა, მაგრამ ძალამ უმტყუნა და ფინიშამდე 70 მეტრის დაშორებით წაიქცა. მსაჯები უმალ მასთან გაჩნდნენ, მაგრამ ხელი არავინ წააშველა, რადგან მიხმარება და მისი შეჯიბრებიდან მოხსნა ერთი იქნებოდა. პიეტრი გაჭირვებით წამოდგა, გააკეთა კიდევ ორმოციოდე ნაბიჯი, ისევ წაიქცა და გონება დაკარგა... სტადიონი გუგუნებდა!... ამასობაში, ის-ის იყო, ბილიკებზე გამოჩნდა ამერიკელი ჯონ ჰეიესი, რომ პიეტრისთან ორი მამაკაცი მიიჭრა, ერთი მსაჯი და ერთი ჟურნალისტი, დაავლეს ხელი, წამოაყენეს და ასე თრევა-თრევით გადააკვეთინეს ფინიშის ლენტი.

მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა და დორანდო პიეტრი მოხსნა შეჯიბრებიდან: პირველი ადგილი ჰეიესს მიაკუთვნეს, თუმცა არც პიეტრი დაუტოვებიათ უყურადღებოდ: მას სპეციალური ოქროს თასი გადაეცა

ის ჟურნალისტი კი, ვინც ეს „დათვური სამსახური“ გაუწია იტალიელ მარათონელს, შერლოკ ჰოლმსის მამად წოდებული არტურ კონან დოილი გახლდათ.

საჭიდაო მარათონის მსხვერპლი

1912 წელს V ოლიმპიადას სტოკჰოლმმა უმასპინძლა. კლასიკურ ჭიდაობაში რუსეთიდან კლაინი გამოდიოდა. წინასწარ ასპარეზობაში მისი მეტოქე იყო ფინელი ასაკაინენი. ორთაბრძოლა ქულებით რუსმა მოჭიდავემ მოიგო და ფინალში გავიდა, მაგრამ... როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული ხელში ატატებული გამოიყვანეს არენიდან და გასახდელში საწოლებზე დააწვინეს. ფინალში კლაინის მეტოქე ახალგაზრდა შვედი მოჭიდავე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სპორტსმენმა არათუ ჭიდაობა, ლოგინიდან წამოდგომაც ვერ შეძლო.

საქმე ის იყო, რომ იმ დროს ჭიდაობაში ორთაბრძოლის დრო არ იყო შეზღუდული და კლაინ-ასაკაინენის შერკინებამ ზუსტად 10 საათსა და 15 წუთს გასტანა.

გამარჯვების მიზეზი — კრაზანა

რომის 1960 წლის XVI ოლიმპიადაზე საგზატკეცილო გუნდურ ველორბოლაში პირველ ადგილზე იტალიელები აღმოჩნდნენ.

— ჩვენ მხოლოდ მესამე ადგილს ვგეგმავდით! — უთხრა კორესპონდენტებს გაოცებულმა და გახარებულმა ეწვრთნელმა.

— სრული სიმართლეა, მაგრამ ჩვენ მაინც პირველ ადგილზე აღმოვჩნდით, სხვა გზა არ გვქონდა! — დაუმატა გუნდის წევრმა ანტონიო ბაილეტიმ,— გზაზე თავს კრაზანები დაგვესხნენ. ერთი მათგანი ზედ კოჭზე მეცა. გავმწარდი და, მეორესაც რომ არ დავეკბინე, მთელი ენერგიით მოვუსვი წინ. შემდეგ ჩვენი გუნდის წევრებიც ამყვნენ ტემპში და შედეგმაც არ დააყოვნა!

„გაფრენა აკრძალულია!“

ფელეტონი

ვაშინგტონისათვის „სოლიდარობის“ გამოცხადებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა მაამებლურად გაიზიარეს ამერიკის „თვალსაზრისი“ მოსკოვის ოლიმპიადის თაობაზე. მათი ზეგავლენის გამო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ — მონაწილეობა არ მიიღოს თამაშებში — დასავლეთგერმანელ სპორტსმენთა აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია.

გთავაზობთ ჰამბურგის „ცაიტში“ დაბეჭდილ ფელეტონს.

კიდევ რა უნდა გააკეთოს ბონმა ისეთი, ჩვენმა ოკეანეგაღმელმა მოკავშირემ დანამდვილებით დაიჯეროს — მოსკოვის ოლიმპიადაზე არც ერთ სპორტსმენს რომ არ გავუშვებთ? გულახდილად რომ ითქვას, რაღაც-რაღაცა ზომები ჯერ კიდევ გვაქვს ძარაგში. მაგალითად, ყველაზე მონდომებულ ოლიმპიელებს შეიძლება შევუქმნათ წინაღობა სასაზღვრო დაცვის რაზმების სახით.

წარმოვიდგინოთ გონებაში აეროპორტი კიოლნი-ბონი ივლისის ერთ მშვენიერ მზიან დღეს.

— თქვენი პასპორტი და ბილეთი! გმადლობთ! აჰ, თქვენ მოსკოვში მიფრინავთ?! ბაგაჟში რაიმე სპორტული იარაღი ხომ არა გაქვთ შემთხვევით?! შუბი, მაგალითად, ბირთვი ან ურო?!.

— არა! ჩაქუჩი მიდევს მხოლოდ ჩანთაში!

— ჰმ... უროს სატყორცნად?!

— რასა ბრძანებთ?! უფრო სწორად, ლურსმნის ჩასაჭედად!

— ჰმ.. ცოტა ხანს გვერდზე გადექით, გავარკვევთ. შემდეგი!. მოსკოვს მიფრინავთ?! ოლიმპიურ სტარტებში მონაწილეობა ხომ არ გნებავდათ, შემთხვევით?!.

— მეე? სამოცდაათს გადაცილებული ვარ!

— ვინ იცის თქვენი ამბავი! იქნებ მწვრთნელი ხართ?! ჯერჯერობით განზე გადექით! შემდეგი!... საით მიბრძანდებით?!

— ვენაში.

— გასაგებია, იქიდან — მოსკოვს, ოლიმპიადაზე, ხომ?!

— არა, იქიდან გრაცში მივდივარ, დის ქორწილში.

— შემდეგი!.. რა მიზნით მიფრინავთ მოსკოვს?!

— მეგობრები უნდა ვინახულო.

— კი მაგრამ, რომ გამოგიჭიროთ და დაგიმტკიცოთ, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მონაწილეობა გსურთ-მეთქი?!

— მაშინ მე უნდა დაგიმტკიცოთ, რომ ცურვა არ ვიცი.

— ხედავთ, აი, იქ აუზს?! სამი მეტრი სიღრმე აქვს. კეთილი ინებეთ და გაიარეთ შემოწმება, ცურვა რომ არ იცით! შემდეგი ..

— ახლავე გიპასუხებთ, რომ სპორტიდან ძალიან შორს ვდგავარ!

— მაშინ საწვრთნელი კოსტიუმი რად მიგაქვთ?!

— მომისმინეთ, ეს ხომ ჩემი საწოლის პიჟამაა?!.

— პარდონ! შემდეგი!.. .მიგაქვთ თუ არა აკრძალული სპორტული იარაღები?!

— მათი არსებობა პირველად ახლა გავიგე.

— მაშინ ეს რაღაა?

— გასაბერი ნავტიკი.

— მაპატიეთ, მაგრამ დარჩენა მოგიწევთ! შემდეგი!..

— მე მოსკოვში მელოდებიან!

— მჯერა. მაგრამ უსაფრთხოების მოსაზრებებით ჩვენ ნებას ვერ მივცემთ სპორტსმენებს, მოსკოვს გაემგზავრონ! იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჩვენს კომპიუტერში ინახება, თქვენ მსროლელთა კლუბის წევრი ბრძანდებით! დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ რისკზე ვერ წავალთ!

— რა რისკზე?

— ამერიკის უსაფრთხოების დარღვევის რისკზე.

— კი მაგრამ, ვინ ამბობს მაგას?

— პრეზიდენტი კარტერი. მან თქვა, რომ თუ ამერიკელი სპორტსმენები მოსკოვის სტარტზე გამოვლენ, ამერიკის უსაფრთხოებას დიდი საფრთხე დაემუქრებაო! შემდეგი!.. სად გარბიხართ?!

— თვითმფრინავზე მაგვიანდება, უკვე გამოაცხადეს კიდეც, ჩასხდომა მთავრდებაო!..

— მაშინ იცოდეთ, თუ შესძელით და ეს ასი მეტრი გაფრენამდე დარჩენილ 9,8 წამში გაირბინეთ, ტრაპიდან მოგხსნით! შემდეგი!..

გაზეთი „ზა რუბეჟომ“

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ყველა ზომა იხმარა იმისათვის, რათა საერთაშორისო ბოიკოტით ჩაეშალა მოსკოვის ოლიმპიადა.

(გაზეთებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ლოგვიძისა



ამერიკული ბოიკოტი

გოლი—საკუთარ კარში!

ამერიკის ბევრი კომპანიის საწყობებში დაგროვდა უამრავი პროდუქცია, რომელიც დამზადდა მოსკოვის ოლიმპიადაზე სარეალიზაციოდ. **„პრეზიდენტმა კარტერმა“**, — წერს დასავლეთის პრესა, — „ამერიკის ოლიმპიური **კომიტეტი მიაჩანჩალა ბოიკოტის ფინიშამდე“**, და ახლა ფირმები დიდძალ ზარალს ნახულობენ. კომპანია „დეიჰკინ თოიზი“, მაგალითად, ვეღარ ჰყიდის სათამაშო დათუნიების პარტიას, რაც მას სამი მილიონი დოლარის ზარალს უქადის. ამავე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩიკაგოს ერთი ფირმაც, რომელმაც დაამზადა ოლიმპიურემბლემიანი 50 ათასი ბრელოკი და სხვა ნაკეთობა. ფირმა „კოკა-კოლამ“ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, გაეყიდა 20 მილიონი დოლარის გამაგრილებელი სასმელი. გარდა ამისა, როგორც ლოსანჟელესელმა მეწარმემ სტენფორდ ბლამმა განაცხადა, **„კარტერის ბოიკოტმა ბაზრის წვრილ მეწარმეებს ხელიდან წარსტაცა 100 მილიონი დოლარი“.** დაზარალებული 58 ფირმის გაერთიანებამ მოითხოვა, კარტერის ადმინისტრაციამ შეიძინოს ოლიმპიადისათვის დამზადებული ყველა ნაკეთობა.

„ნოვოე ვრემია“

ნახ. ?. ფიქციალავანი

— კაცო, შენი სანყოფიის გამგე არ არის? მოაპარვინე რამე, თორეა ვინ დამტოვებს აქ!

შემსვენებლის შემდეგ

— რა ხდება აქ?! რას ბაგავ ეს?! — შესვენების შემდეგ მოულოდნელი კმშვიანი დაიცხა განუოფილების უფროსი ბადრაკის მოთამაშე თანამშრომლებს.

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ?! ნამუსი აღარ გაქვთ?! — ოსტატურად იყენებდა უფროსი ფიგურის უპირატესობას. ლაბორატორიის დაშამთებული თანამშრომლები შეშინებულები წამოცვივდნენ!..

„დავიღუპეთ! ან სამსახურიდან გაგვათავისუფლებს, ან — პრემიების მოღებისაგან!“ — გაიფიქრეს გუნებაში.

— ბოლოს და ბოლოს, — არ ცხრებოდა მკაცრი უფროსი, — ჩემი რიგი აღარ მოვიდა?! ერთი-ორი ხელი მეც მთამაშეთ!

ბაგუა დეინაკი

ნახ. გ. ფიქციალავანი

— ჯერ იყო და, დირექტორობა უნდოდა, მერე — მოადგილეობა, ახლა თავს იკლავს, ჩემს ადგილზე დამტოვებენ!

ვეფხვიანი ეფექტური ნაგე

მერაბ მანარაშვილი — ხაშურის რაიონის სოფელ ქვემო ოსიკურის მეხოვრები. 25 წლის სტაციანი უსაქმური. ბაბუსის დიდი მეგობარი, თუმცა ეს „მეგობრობა“ 6 წლის ციხეზე დამთავდა, თუ მას დავუჯერებთ. ხაშურის რესტორან „ოფერიაში“, მთვრალს „რომ თავს არ დასხმოდნენ, ჯიბიდან ფული იირო და იცავდა თავს“. ამ დანით მან მმინდე დაჭრა ქ. რუსთავიდან სტუმრად ჩამოსული გივი გურგენაშვილი. მასპინძლობაც ამას ჰქვია!

ბერნან ფოფხაჯანია — ორი თვის სხვის ჯიბეში ჩაცურების უბადლო სპეციალისტი. ექვსჯერ ნასამართლები სხვადასხვა დანაშაულისათვის. უკანასკნელი სასჯელის მოხდის „შემდეგ, „ბამსწორების გზაზე დამდგარმა“, სხვისი ჯიბეების წმენდას თავი დაანება და ბაგარებელში მძინარე მგზავრების „ზედმეტი ნივთებისაგან“ გაათავისუფლებას მიაკო ხელი. რა ვქნა, თბილისელმა მაგარებელს № 8 ვაგონში მძინარე ელადიმერ ბარაბურანის კრემპლინის პერანგი და ჯემპრი მოეწონა, მოიერო კიდევ მაგრამ... „მურმანიო!“ — მეშვიდედ წამოიდგენენ თავს მილიციის მუშაკები. ჰოდა, სოფის ნაცვალად, ამჯამად 7 ნლით იხდის სასჯელს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

გიორგი ბაგალოშვილი — ქათმეგინა და ყვინნილების დაქონინებელი მეერი. საქართველოს ქვეშ ხერელის გაფხრის დასახურებელი და ადიარებელი ოსტაკი. (ფსუს, მეფლები და გურები!). ხაშურის მეერინეულეობის № 3 საამქროში ხერელი შეადნა, ის იყო, 52 ფალი მსუქანი ქათამი შეარჩია (სულ ხელით წონიდა) და წინასწარ მოპარაგებული გომრაში ჩაანყო კიდევ, რომ თვითონ მას ჯარეს სათანადო გომარაში თავი — 1 ნლითა და 6 თვით აუკრძალეს საქართველში ხერელების გაყვანა.

გიორგი ქვანია — სოხუმის გამეცილებელთა რეზერვის გამეცილებელი. ერთხელ, № 5401 მაგარებელს ვაგონის გამეცილებისას, სადღაც ბალში, თავის ვაგონში საკუთარი 76 კგ ბანდარინი აიკიპნა. იფიქრა, გადასაგან ფულს არ გადავიხდი და ბანდარინსაც თბილისის ბაზარზე კარგ ფასად გავყიდავო, მაგრამ კოფეში ნაგარში ჩაუვარდა: სასამართლოს განაჩენით 6 თვის გამასწორებელი მუშაობა შეუფარდეს, სასჯელის სხვა ადგილზე მოხდით და სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით.

გურამ ამირანაშვილი — „საქ�მენის“ მეზეთის სამრეწველო კომბინატის მუშაკი. სოფელ ბალეგანში თავისი საცხოვრებელი ბინა მოეყარა ცოხე-ბალეგანად. რომ ბალეგანი, თავისივე სოფლის ექსპერიმენტაციო მეურნეობის ნაკვეთის ღობეს ფარულად შეხსნა 238 მანეთად ღირებული 40 მეგრი მოუთიაოვებული მავთულებად და ბრაქტორით მიიგანა შინ. ზის ახლა გურამ ამირანაშვილი და ფიქრობს, რაგორ არ აპაგიეს ეს ექსპერიმენტი?!.

ამირან თარგაშაძე — ესეც მეფრინველეობის გამოცდილი სპეციალისტი. მან, მეხეთის მეხორცული ქათმის საფიმეო რეპროდუქტორის სადედე გუნდის ბრიგადირმა, ისევ წონდოლმება და ყაირათიანობა გამოიჩინა, რომ ხელმძღვ-�ელ პოსტზე დადგომის პირველი დღიდან 9 თვისა და 28 დღის გავლის შემდეგ, აქტით ჩაბარებული 30.247 ფრთა ქათმის ნაცვლად, 21.996 ქათამი აღმოაჩნდა, ანუ 8.251 ქათმით ნაკლები.

სასამართლის განაჩენით ამირან თარგამაძეს 2 ნლით აღუკვეთეს თავისუფლება და, რა თქმა უნდა, ქათმების სახეიგიდოებაში მოღვაწეობაც აუკრძალეს.

გივი ნოზაძე — დ ი ს ა ა ... ... ოუსუბ...ი, კომიგეგის ინსტრუქტორ-მძღოლი. იოლად ირსეშეს, გ... ...ცელი ინსტრუქტორი ვარო და ბადაწყვიტა, ინსტრუქტაჟი გაეწია გამოუცდელი ქალიშვილებისათვის — ცხოვრებას ანბანის სწავლება დაუწყო: პირველად ნ. ხ-ს შესთავაზა ცხოვრების მეგზურობა და თავისი გულნრფელობის თავდებად მმაჩის ბიურო დაუსახელა, მაგრამ ცხოვრების გზის სულ ცეირე მონაკვეთიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ მგზურს გული ატეხეს...

გამოუცდელი გოგონებისათვის ანბანის მასწავლებელი თვითონ ანაფერად ადგებოდა ანბანურ თანამიმდევრობას: ნ. ხ-ს შემდეგ ტ. ბ. ბეიერთო, შემდეგ — ლ. ბ., მერე — ი. ბ. და ბერე კიდევ — ი. ...ასე შემოიარა მან ქ. თბილისის კალენინის, ორჯონიკიძისა და ოქტომბრის რაიონების მმაჩის ბიუროები, ქორნინების სახლები და სახალხო სასამართლოები და თანაც სულ რაღაც რვა წელიწადში (ბუსჯოიბესეულია რესპუბლიკური რეკორდი!).

უბერებელმა სასიძემ და ქალიშვილების ინსტრუქტორ-მგზურმა თბილისისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების საქორწინოებანენორნინების დაწესებულებებში შეკალა ვეღარ მოასწრო, რადგან ქორწინებათა მრავალეზის დაფარვისათვის, ნეფისძველა საბრალდებულო სკამზე წამოსაკუთეს.



ნახ. ჯ. ლოლუანი

— ვიმ რომ ღამე გაათეთო, ადგინესტრატორის კარებთან უნდა დაიღაგო!..

ფეხსაცმლის მაღაზიაში

ბაფხულისათვის ფეხსაცმლის
ყიდვა უნდოდა სპასს
და ნოქარს თხოვნით მიმართა,
რომელს მარნვეთო, ამა?

მყის გადმოუღო თაროდან.
არ ალოდინა დიდხანს.
მუშტარმა ფეხზე მოირგო
და ძორიდებით ჰკითხა:

— ზაფხულში დაჩვრეტლები
არ აკობებდა. ვითომ?
— ცოტას გაიღო თუ არა,
დაინვრეტება თვითონ!

ზოთა ამირანაშვილი



ნახ. ზ. ფეიერაზიძისა

— აღრესატს თუ ვერ მიაგნებს, წერილს მაინც დამბრუნებას უკან!

თავო ჩემო, ბედი არ გიჭერია!...

აბა, რა ვქნა?! — ყველაფერი ერთმანეთს გადაება! ამ ხნის კაცი ვარ და, ოპერაში ვერ შეეხულვარ! ერთხელ თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, ბილეთებიც კი ავიღე ნინასწარ, მაგრამ მოულოდნელად მივლინებით მომანია სადღაც ორ კვირას ყოტრიალი. მერე, ზუსტად მაში, როცა კვლავ გადავწყვიტე ოპერაში შესვლა, ისეთი გრიპი მეტაკა, სული რომ მიდგას, ღმერთს უნდა ვუმადლოდე! არ მახსოვს, რომელი ნელი იყო, ბილეთების ასალებად გავნე კვლავ. სოლის მეგობარი მეშვედა. რომ ვუთხარი, სადაც მიეფიდი, ბევრი იცინა!.. იქვე, რესტორანში შევედით, რა არ მოვიგონეთ. გათენებამდე არ მივსულვარ სახლში!.. მას შემდეგ სამი ნელი ოპერა არ მიხსენებია ოჯახში!.. ერთხელაც, არ მახსოვს ზუსტად, რომელი ნელი იყო, ომი ახალდამთავრებული იყო, მგონი, გადავწყვიტე, ოპერაში ნასვლა, მაგრამ ბედის ამბავია: თეატრს დასვენების დღე ჰქონოდა. კიდევ რომელი ნელი იყო, ვერ ვიგონებ, მთელ ქვეყანას მოვდე, ოპერაში მიეფიდეთ-მეთქი და... ცოლი გამიხდა ავად ყივანახველათი. დაახლოებით ათი, თორმეტი ნლის წინ სიდედრს უკბინა ცოფიანმა ძაღლმა... ერთხელაც სამსახურში მოიტანეს ოპერის ბილეთები, მაგრამ მცირე ხელფასანებისათვის არ დაუქვითავთ ფული. ბევრმა უკმაყოფილება გამოხატა, ფულს ჩვენ ვიხდით და ოპერაშიც ჩვენ უნდა ვიაროთო? კინაღამ ნამოვხტი და ეთქვი, ფულსაც გადავიხდი და ოპერაშიც ნავალ-მეთქი. ცოტა ნასვამი ვიყავი. კიდევ კარი, თავი შევეკავე!.. რამდენიმე დღე წყალდიდობა იყო ქალაქში: ერთი კვირა ვედროებით ამომქონდა, სარდაფიდან წყალი!..

ნელს კიდევ ახალი ნაბანავები ვიყავი, ვერ გავბედე სახლიდან გასვლა.

ძალიან მინდა ოპერაში შესვლა! თანაც განახლებულია, აქეებენ! რამდენი ნელია, დედაქალაქში ვცხოვრობ, დღეში რამდენჯერ გავივლ-გამოვივლი ოპერის წინ და ერთხელაც ვერ მოვახერხე შიგ შეხედვა!.. ლოგაში დურბინდიდან ჯდომას ხომ არა გთხოვს ვინმე? — შედი და გამოდი!..

ნომადი ბართაია

ნახ. ჯ. ლოლუანი

— სად მიგაძვს, კაცო, ამდენი ნიგნი?!

— ამგზავნ, ოც კილო ნიგნად „უძარძამო ხმლებს“ იძლევიანო!

მინიკეკერები

ბლიკვნილის ანანაშვილზე

— პირველად ვხედავ, მიცვალებული იღიმებოდეს!..

— მაგისი ყოფილი უფროსი შემოვიდა და იმას ულიმის!

საყვედური

— რეკისორმა თქვენი პიესა დაიწუნა, მარილი აკლიაო!..

— რა სულწასული ყოფილა: დაედგა და არც პურს დაეკალებდი და არც მარილს!

ალეკო გეგია
(ქუთაისი)

სასარგებლო რჩევები

● **გაყიდველმა** თუ ფასში ან წონაში მოგატყუოთ, ნუ შეედავებით — თვითონ დაიწვება სირცხვილით!

● **უფროსმა** თუ კეთილი თვალით გადმოგხედათ, ნუ გათამამდებით, მას ჰგონია, რომ გამოსწორდით!

ელგუჯა ჯანელიძე
(ქ. წყალტუბო)

ნახ. ა. კანდელაკისა

— მარცხნივ, თეთრი და რუხი ლაქებით, ჩვენი სოფლის ნახირია, მარჯვნივ — ყავისფერითა და თეთრით — ჩვენი სტუმრები!..

მფრინავი ქამარი

ამ ქამარზე ფიქრი საქართველოში 1976 წლიდან დაიწყო, მეცნიერული დასაბამი კი 1977 წლის 16 თებერვალს მიეცა, როცა თბილისელმა ვ. ბობოხიძემ „მედიცინსკაია გაზეტაში“ წაიკითხა ცნობა მისი აღმოჩენის შესახებ.

წინასწარ მინდა გაგაფრთხილოთ — რეაქტიული ქამარი არავის გეგონოთ, არც მფრინავი ჰოლანდიელის ნაქონი ღვედი, ჩვეულებრივი თხის ტყავისაგან შეკერილი ქამარი გახლავთ, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მის „აღმოჩენას“ საქართველოში მრავალი მეცნიერის ფიქრი და უძილო ღამე შეეწირა!..

სამეცნიერო ექსპერიმენტი კი ასე დაიწყო: თბილისელი ვ. ბ ო ბ ო ხ ი ძ ი ს ჰიპოთეზას ასეთი ქამრის არსებობის შესახებ საეჭვოდ მიიჩნევენ ქართული გაზეთების რედაქციები და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უგზავნიან ამ ცნობას, სამინისტრო სამეცნიერო საბჭოს აძლევს განსახილველად, საბჭოს ბიურო — „საქმედტექნიკის“ სამმართველოს, „საქმედტექნიკა“ — სამეცნიერო საბჭოს, სამეცნიერო საბჭო — სამინისტროს მთავარ სამმართველოს, მთავარი სამმართველო — კვლავ „საქმედტექნიკას“, „საქმედტექნიკა“ — სამმართველოს, სამმართველო — ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ნევროპათოლოგს და ა. შ. და ა. შ.

მიმოწერის ამ კორიანტელში ფუჭი ვაზნების სროლასავით გაისმის სიტყვები: „არ მიგვაჩნია მართებულად შალის ქსოვილის ხმარება გახდეს მეცნიერული და კლინიკური აპრობაციის საგანი...“, „შალის თეთრეული სამკურნალო მიზნით არ არის ჩვენი ნომენკლატურა...“

ვიდრე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უწყება-დაწესებულებებსა და ინსტანციებს ფუჭი ვაზნებით ასეთი დუელი ჰქონდათ გაჩაღებული, აქვე, მათ გვერდით — საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანაში — თავისით შემოფრინდა თხის ტყავისაგან შეკერილი, აბზინდიანი შესაკრავით დამშვენებული ქამარი.

— ავადმყოფი გადმოვაფრინე მოსკოვიდან, სახლამდე მივაცილე. საავადმყოფოს ინვენტარად ვითვლები და, ამიტომ, ვალდებული ვარ, უკან დავბრუნდე, — უთხრა ქამარმა ქარხნის სპეციალისტებს, — მაგრამ რაკი გავიგე, რომ ჩემი არსებობა საქართველოს მედიკოსებს საეჭვოდ მიაჩნიათ, გთხოვთ გადაიღოთ თარგი და ქართველი ქამარ-ხანჯლის მოყვარული პაციენტების გული გაახაროთ!

ქარხნის სპეციალისტები მაშინვე დაფაცურდნენ და სულ მალე დაფაზე ნიმუშად გამოჰკიდეს მისი პირველი ეგზემპლარი. გამოკიდება ვინ აცალა! — ერთ-ერთი პირველი, ვინც თხის ტყავის ქამრით დაიმშვენა წელი, თვით ვ. ბობოხიძე იყო. შემოიკრა თუ არა წელზე, მაშინვე ჯანდაცვის სამინისტროს მუშაკებს ჩამოუარა და ყველას ჰკითხა, მიხდება თუ არაო.

მედიკოსებმა სათვალეს დაუწყეს ძებნა, შეუიარაღებელი თვალით ვერ ვხედავთო.

მათი ახლომხედველობა, შესაძლოა, არც იყოს დასაძრახი, თუკი ეს ორგანიზმის პათოლოგიიდან მომდინარეობს, მაგრამ რა ვუყოთ ისეთ სიბეცეს, რომელიც გულგრილობიდან იღებს სათავეს?!

ისიც საკითხავია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სულ სხვადასხვა რანგის სპეციალისტებმა, სხვა თუ არაფერი, ყურმოკვრით მაინც არ უნდა იცოდნენ, რა ხდება თბილისის საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანაში?!

სწორედ რომ შესაშური გულისხმიერებაა ჩატეული თქვენს მიმოწერაში, პატივცემულო ექიმებო!

არდაინდო არდაშენია

ტურა და მელია

ტურამ — ფერმის დასაწყენელი
წყენით უთხრა მელიასა:
„ასე ჩემი ცხოვრება,
ძმაო, მართლაც ძნელია:
ფერმაში რომ დაძვრები,
ჩემდა ჭკუის შემშლელად,
შენი მუცლის ავსებას
არაფერი ეშველა!

მე კი დავრჩი ძეალ-ტყავი
და ნერვებზე ვიშლები!..
ფერმაში თუ არ მოხვალ, —
მხოლოდ ამით მიშველი!
ცოტა მეც დამიტოვე,
სულ რომ ყნოსავ გალიებს,
ხელის ჭუჭყსაც მოგცემ და
მოდი, ღვინოც დალიე!“
„გადირიე, შე კაცო?!
სინდისს ჰკარგავ სრულიად?!
ხომ იცი, რომ ამ ეროშებს
ბინძურ ქრთამის სუნი აქვს?!“
აწრიალდნენ ქათქები
მელას აურზაურზე..
„მარტო ღვინო დავლიო?
ამას უნდა საუზმეც!“ —

მოიქნია მელიამ
სიტყვა, როგორც სიათა,
მიხვდა ფერმის დარაჯიც
და დედალი მიართვა.
ბოლოს წუწკმა მელიამ
შეუცინა ქვემოდან:
„ის თავტვლეპა ვარიკაც
ვახშმად მეამებოდა!“

—: —:

ბევრგან, ჩემო მკითხველო,
ისეა თუ ასეა,
სხვა ხვრელი აქვს ფერმას და
მელიებით სავსეა!

მათე გაჩეჩილაძე

სადღეგრძელო

თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ არა იმიტომ, რომ ჩვენი ტრესტის მმართველი ბრძანდებით, არც იმისთვის, რომ ოთხივე ვაჟიშვილი უმაღლესში მოაწყვეთ და ოთხივეს სახლები აუშენეთ, მსუბუქი მანქანები უყიდეთ, ერთ სიძეს აგარაკი აჩუქეთ, მეორეს დისერტაცია დაუცვევინეთ, მეზობლების გულის გასახეთქად საკუთარი ბინა უმაღლეს დონეზე გაარემონტეთ!.. არც იმისათვის გადღეგრძელებთ ასე განსაკუთრებით, რომ ორმოცი შემნახველი სალარო თქვენი დანაზოგით სულ-დგმულობს, არც იმისთვის, — ჩვენცამი, ხელქვეითებისადმი რომ დიდი მომთხოვნი ხართ და უფროსების პატივისცემაც იცით!.. გადღეგრძელებთ იმიტომ, რომ ხართ კაცური კაცი, კოლექტივის ერთგული, უმნიკვლო, უანგარო და უაღრესად პატიოსანი!.. გაგიმარჯოთ!

მოისმინა
ზაალ გახუტიშვილმა

ანატომიური ლექსიკონი

თ ა ვ ი — ყველა ორგანოზე ერთი თავით მაღლა მდგომი ორგანო. თავი მაშინ აბამს თავს თავის საქმეებს, როცა თავის ადგილზეა.

გ უ ლ ი — საგულდაგულოდ მუშა ორგანო. ადამიანს გული შეიძლება აუძგერდეს, გაუტყდეს, მოუვიდეს, წაუვიდეს, გაუწვრილდეს...

ს ი ს ხ ლ ი — თხიერი ორგანოა, მაგრამ მისი გაშრობა შეიძლება როგორც სახლში, ისე სამსახურში.

ტ ვ ი ნ ი — ჭკვიანი და ზოგჯერ ნიჭიერი ორგანო. იგი მოთავსებულია თავის ქალაში, ანუ კოლოფში. აქედან წარმოიშვა გამოთქმა: „ჭკუის კოლოფი“.

ნ ე რ ვ ე ბ ი — ასაშლელ-ასაფორიაქებელი ორგანო. ნერვები არ ეშლება იმას, ვისაც ნერვული სისტემა სისტემაში აქვს მოყვანილი.

კ ბ ი ლ ე ბ ი — ძირითადად გამოიყენება ენაზე დასაჭერად. კბილებს, აგრეთვე, იყენებენ: დასაკრეჭად, ამოსაღებად, ჩასასმელად, კევის საღეჭად...

თ ვ ა ლ ი — დასაქაჩ-მისანაბ-ჩასაკრავ-დასაჟუჟუნებელ-დასაბრიალებელი ორგანო.

ყ უ რ ი — ყურადსაღები ორგანო. ყური ორია. ზოგი სარგებლობს ამით და ერთ ყურში შესულს მეორე ყურიდან უშვებს.

ე ნ ა — გაქნილ-მოქნილ-გატლეკილი ორგანო. ენა გამოიყენება: სამკურნალოდ, ტვინის გასახვრეტად, გამოსაყოფად...

ფ ე ხ ე ბ ი — თვითმომსახურებაზე გადასული ორგანოა. თვითონ დადიან და ეძებენ იმპორტულ ფეხსაცმელს. ფეხებს იყენებენ: ვისმეს ან რაიმეს დასაკიდებლად, პანღურის, წიხლის, ჰიტლაყის ამოსაკრავად, წასაბორძიკებლად, თაბაშირში ჩასადებად, პენალტის გასაფუჭებლად...

გიგლა გახტაძე

ნახ. გ. ლომიძისა

არცთუ ი ს ე იშვიათად, მეურნეობებში, ინვენტარიზაციის დროს, დანაშაულებრივად ფარავენ დანაკლისისა და დატაცების ფაქტებს, ხოლო ზოგიერთი უსინდისო რევიზორი ცალკეულ შემთხვევებში დანაშაულებრივ ურთიერთობას ამყარებს დამტაცებლებთან, რა თქმა უნდა, ანგარების მიზნით.

(გაზეთებიდან)

ვახტანგ(მ გ ლ)ური

ნახ. მ. აბაშიძისა

— სად მცალია მე რიგში დასადგომად?! გადმომიგდე ნახევარი ძროხა!

ნიანგს უპასუხებენ

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო:

სათაურით — „მ ო კ ი თ ხ ვ ი თ ა და ნახვის ნატვრით“ — „ნიანგის“ გასული წლის 21-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი ამხელდა ტრესტ „საქყოფრემმშენის“ თბილისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სამინისტროს კომისიამ შეისწავლა სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაობა.

მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციაში დაშვებული სერიოზული დარღვევების გამო **სამმართველოს უფროსი კ. აბაიაძე** და **მთავარი ინჟინერი თ. ორასხლიშვილი** მოიხსნენ თანამდებობებიდან.

მშრომელთა წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე იმსჯელა კოლეგიის სხდომამ. გაძლიერდა კონტროლი საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ხარისხსა და ვადებზე.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება:

„ნიანგის“ წ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ მე-2 ნომერში დაბეჭდილი ფაქტი — აგარა-ბათუმის მიმართულებით ავტობუსის მარშრუტის გაუქმების შესახებ — სინამდვილეა.

გზის კაპიტალური შეკეთების შემდეგ დაინიშნა და რეგულარულად მუშაობს ავტობუსი მარშრუტით — აგარა-ბათუმი.

თავის მხრივ „ნიანგისადმი“ გამოგზავნილ წერილში სოფელ აგარის მშრომელები რედაქციას მადლობას უთვლიან ყურადღებისათვის.

7-80
80-511

ზანგთა მასობრივი მღელვარება მაიამში, როგორიც შეერთებულ შტატებში 1960-იანი წლებიდან არ ყოფილა, სასოწარკვეთილების აფეთქებაა.

ნახ. ბ. ლომგორძისა

უცხოური იუმორი

ცნობილ ვექილს შესთავაზეს დაეცვა კაცი, რომელსაც მკვლელობა ბრალდებოდა. მასთან შეხვედრის შემდეგ ვექილმა უარი თქვა შეთავაზებულ წინადადებაზე.

— კი მაგრამ, რატომ? — ჰკითხა მას თანაშემწემ.

— იცით, რა? — უპასუხა ვექილმა, — მე დავასკვენი, რომ თავისი ფინანსური მდგომარეობით მას არავითარი უფლება არ ჰქონდა, ჩაედინა მსგავსი დანაშაული!

* * *

პასტორმა ინახულა მოხუცი ჰარისონი, რომელიც კარგა ხანია არ ენახა და ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა. ავადმყოფს საწოლთან ტუმბოზე ერთი ბოთლი ვისკი ედგა.

— ჰარისონ, ნუთუ ეს არის შენი ბოლო ნუგეში?!

— არა, მამაო, კარადაში კიდევ ერთი ბოთლი დგას!

* * *

პასტორი სოფლის დუქანში ფრაუ სერენსენს შეხვდა და უსაყვედურა, შენი ქმარი გახულ კვირას ეკლესიიდან ქადაგების დროს გავიდაო.

— მართალი ბრძანდებით, მამაო, მეც დიდად ვწუხვარ ამის გამო. მაგრამ რა ვქნა? ამ ბოლო დროს ძილში სიარული დასჩემდა!

ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: Ზ. ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐ, ᲗᲔᲗᲜᲐᲚᲘ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ, Გ. ᲜᲘᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ (ᲒᲐᲛᲒ. ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ), Გ. ᲕᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Მ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ

ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲚᲝᲛᲒᲘᲫᲔ, Ⲛ. ᲒᲐᲚᲐᲯᲘᲜᲘᲫᲔ (ᲛᲮᲐᲢ. ᲠᲔᲓ.), Გ. ᲜᲘᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ, Გ. ᲡᲐᲮᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“. ● ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 42, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲙᲣᲡᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ● ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲡᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 5/VI-80 წ. ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 11/VII-80 წ. ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ 70×108 1/8 ● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲑᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 14. ● ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ 2. ᲡᲐᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 1.7 ● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ № 1614 ᲕᲓ 689 ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 144,500 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ